რომ იყოს რაზმი, მაგრამ მეორე მხრით მას იგი არ უნდა. არის ერთი ქართული ანდაზა: „თუ პილპილი არ გიჭამია პირი რათ გეწვისო“.

ის რაც სათაურში ნათქვამი, იგივე ამბობს კანონ-პროექტი და თუ სათაურის გამოცვლა გსურთ, მაშინ შინაარსიც უნდა გამოსცვალოთ. მაგრამ აქ არის ნახსენები სიტყვა „კონტრ-რევოლუციონური“ და აი ამ სიტყვამ შეაშფოთა ნაციონალ-დემოკრატები.

ვეშაპელი (ადგილიდან): ჯუღაშვილს კითხეთ ვინ არის კონტრ-რევოლუციონერი.

ა. ლომთათიძე: ჯუღაშვილს ჩვენ არაფერს არ ვკითხავთ კონტრ-რევოლუციონერები შინ აღზრდილნიც არიან და უცხოეთიდანაც მოსული. სპეკულიაცია, ძარცვა და კონტრ-რევოლუციონერობა ყველაფერი ერთს ხაზზე მიდის—წმინდა კონტრ-რევოლიუციის ხაზზე და სწორეთ ამაშია საქმე; თუ ამის თქმა გინდათ, პატრიონებო მოითხოვს პირდაპირ სთქვათ, რომ თქვენ თქვენს თავზედ ფიქრობთ. მე გავიგე, კომისიაშიც არა სოციალისტ წევრებს სწორეთ ესე დაუსვამთ საკითხი. ეს რაზმი ყველას მოკიდებს ხელს. ქართველი იქნება, თუ უცხოელი. თუ ჩემს ნორჩ რესპუბლიკას საფრთხე მოელის და ამ საფრთხისგან ჟანდარმი იხსნის, მე ჟანდარმსაც და ეშმაკსაც ჩავეხუტები.

რ. გაბაშვილი. ყოველი ჩემი გამოსვლის შემდეგ უთუოთ, უნდა გამოვიდეს ბ-ნი ლომთათიძე და თავისი გაუგებრობით, ყველაფერი აირიოს. ეხლაც მას აურევია სპეკულიაცია, ძარცვა, კონტრ-რევოლუცია და ბრალს მდებს, რომ გაბაშვილს კიდეც უნდა რაზმის დაარსება და კიდეც არაო. ბატონებო! ჩვენ გვინდა რომ არსებობდეს ძლიერი სახელმწიფო, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ მისი შექმნა, რადგან უკანონობის გზაზედ სდგეხართ, და ამით საშუალებას აძლევთ ხშირეთ ამ სპეკულიანტებს, რომ თავისი ბოროტმოქმედება გააღრმაონ. ყოველმა მოქალაქემ უნდა იცოდეს, თუ რა დანაშაული თავ დება ამა თუ იმ კანონში. შეიძლება მე იურისტი არ ვიყო, მაგრამ ელემენტარული წარმოდგენა კი მაქვს კანონიერებაზედ და უკანონობაზედ. თქვენ კი იურისტები ხართ, მაგრამ ამის წარმოდგენა არა გაქვთ და აკანონებთ უკანონობას. მე მინდა ვუპასუხო საბჭოს წევრს ლომთათიძეს, რომ ეშმაკს მეც ჩავეხუტები, მაგრამ მას არ ვეუშვებ ისე, როგორც ამას სჩადის ბ-ნი ლომთათიძე. ჩვენსა და თქვენს შორის განსხვავება ის არის, რომ ჩვენ ვიცავთ კანონიერებას, ხოლო თქვენ ძალმომრეობას.

ფარჯიაშვილი (სოც.-რ.). ვერც მომხსენებელმა და ვერც შინაგან საქმეთა მინისტრმა ვერ დაასაბუთეს ამ რაზმის საჭიროება. რა საჭიროა ახალი რაზმის დაარსება, როდესაც ასეთი რაზმები ბევრი გვყავს. თუ ისინი ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას, მაშინ შეგვიძლია გავაძლიეროთ, ან გავაუმჯობესოთ. განსაკუთრებული რაზმის დაარსება არავ-დაიღებს შეიტანს. მე მოგაგონებთ წარსულ სხდომას, როდესაც მოჩვენების საკითხი ირჩეოდა და ნაციონალ-დემოკრატები უთუოდ ზეიმს იხდიდნენ მაშინ. მაგრამ ისინი უფრო ზეიმს გადიხდიან, როდესაც ეს რაზმი კონტრ-რევოლიუციონერებს ჩაუვარდება ხელში.

ეროვნულ-დემოკრატებს დღეს ამ კანონ-პროექტის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონიათ. ისინი მხოლოდ სათაურის შეცვლას მოითხოვდნენ. ჩვენი ფრაქცია კენჭის ყრის დროს თავს შეიკავებს.

შინაგ. საქ. მინის. ნ. რამიშვილი. ესერების ფრაქცია ესეთ დიდათ მნიშვნელოვან საკითხს დროს მეორედ იკავებს თავს. თქვენ საკითხს ან მხარი უნდა დაუჭიროთ, ან უარყოთ იგი. აქ სთქვეს: შესაძლებელია ეს რაზმი კონტრ-რევოლიუციონერების ხელში ჩავარდესო, ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როცა მოწინააღმდეგეთ სხვა ძალაც ექნებათ.

იმ პარტიებს, რომელნიც მთავრობის წინააღმდეგნი არიან, იმედი გამბედაობა უნდა ჰქონდეთ, რომ სთქვან, თუ რა სურთ მათ.

გ. ვეშაპელი (ნ.-დემ), სიტყვა საბჭოს ანგარიშის ბოლოშია.

ალ. ლომთათიძე. გაბაშვილი და ვეშაპელი აქ დიდი რიხით ამბობენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით, რევოლიუცია გათავდაო, მაგრამ მე მინდა ვკითხო მათ: ვინ მოგცათ ეს თავისუფლება?

გ. ვეშაპელი (ადგილიდან). მსოფლიო ომმა.

ალ. ლომთათიძე. მსოფლიო ომი თქვენ გაგანადგურებდათ, რომ დემოკრატიას არ ჰყოლოდა ისეთი მეთაურები, რომელთაც იგი დაღუპვისაგან გამოიყვანეს. მე გეკითხებით: ვინ იყვნენ ეს მეთაურები.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან). მიხაკო წერეთელი.

ალ. ლომთათიძე. მიხაკო წერეთლის შესახებ ჯერ ჩვენს ისტორიას არაფერი უთქვამს და ალბად ვეშაპელი დასწერს ახალ ისტორიას. ბ-ნმა ვეშაპელმა გვირჩია, რომ დავანებოთ თავი რევოლიუციას; რასაკვირველია, მისთვის ეს ფრიად ხელსაყრელია, მაგრამ ჩვენთვის კი სრულებით ხელსაყრელი არ არის და მას თავს ვერ დავანებებთ. თუ თქვენ დღეს ამ პარლამენტში ლაპარაკის საშუალება გაქვთ, სწორედ ამ რევოლიუციას მონაპოვარია მადლობელი უნდა იყოთ და ამას გაუწიეთ ანგარიში.

რევოლიუციური ფრაზეოლოგია, შეიძლება კარგი არ იყოს, მაგრამ კონტრ-რევოლიუციონური ფრაზეოლოგია მასზედ უარესია.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი. ეს გამოლაშქრება შემთხვევითი არ არის, მაგრამ პასუხის გაცემა იმაზედ, რაც განსაკუთრებით, მთავრობის მოქმედებას არ შეეხება, ჩემი საქმე არ არის. ბ-ნმა ვეშაპელმა გვისაყვედურა, რომ ჩვენი მთავრობის სისტემა არსებითად ძველია, და ჩვენ მხოლოდ სახელებს ვცვლით. ძველსა და ახალს შორის განსხვავება არის, რომ ახალი წესი მართვლობისა ამყარებს ხალხის სურვილს და მის კეთილ დღეობას ისახავს ერთად ერთ მიზნათ. თქვენ სთქვით, რომ სპეკულიაციის მიზეზები უნდა ვეძებოთ მთავრობის სათავეში. მაგრამ როდესაც ესეთს ბრალდებას აყენებთ, ჩვენ გვაქვს უფლება, რომ ამის საბუთები მოგვთხოვოთ, თქვენ აქ ხშირად შემოგვიტანიათ შეკითხვები, მაგრამ რატომ ერთხელ ვერ წარმოადგინეთ ესეთი საბუთი:

გ. ვეშაპელი. (ადგილიდან) „ოჩერედში“.

ნ. რამიშვილი. მე არ ვიცი რა გაქვთ ამ „ოჩერედში“, მაგრამ რაც იყო იმან ვერაფერში ვერ დაგვარწმუნა. საბჭოს წევრმა გაბაშვილმა სთქვა: ჩვენსა და თქვენს შორის იმაშია განსხვავება, რომ ჩვენ ვემყარებით კანონიერებას და თქვენ კი ძალადობასო. მე იძულებული ვარ გავიმეორო საანბანო ჭეშმარიტება: კანონი არის ის, რასაც პარლამენტი აღიარებს და ამ მხრით, მე უნდა განვაცხადო აქ, რომ მთავრობას არც ერთი არა კანონიერი ნაბიჯი არ გადაუდგამს.

გრ. ვეშაპელი (ნაც.-დემ.). თავის სიტყვაში უპასუხებს შინაგან საქმეთა მინისტრს *).

ნიკ. ქარცივაძე (ალიონ.), თითქმის ერთი საათის განმავლობაში უსმენ ამ კამათს და ვერ გამიგია, თუ რის გარშემო ტრიალებს იგი. არის რევოლიუცია, რომლის წინააღმდეგ არის მოხმარული კონტრ-რევოლიუცია და მთავრობა ვალდებულია ებრძოლოს მას. არსებობს სპეკულიაცია და ხშირათ მას თავის იარაღათ კონტრ-რევოლიუცია ხმარობს. მთავრობა ვალდებულია მასაც ებრძოლოს. რისთვის ან ვისთვის არის ეს კამათი.

როდესაც რ. გაბაშვილი გამოვიდა ტრიბუნაზე, მე მეგონა, რომ მას კანონის სათაურის გამოცვლა აინტერესებდა და შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხი, ვფიქრობდი, რომ მას დააკმაყოფილებდა, მაგრამ ეხლა, ვეშაპელის გამოსვლამ დამარწმუნა, რომ საქმე სულ სხვაშია: ვეშაპელმა სთქვა: მოსპეთ რევოლიუციური ფრაზეოლოგია. მოსპეთ კომისრები და გამოცვალეთ მაზმახლისები. ჩვენ რომ მართლა ასე მოვიქცეთ და ეს სახელები შემოვხაროთ, შემდეგ თქვენ ითხოვთ, რომ ამ კანონის სათავეში, სადაც წერია მებრძოლი კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ, თქვენ მოითხოვთ, რომ სიტყვა „კონტრ“-აც იყოს მოსპობილი და დარჩეს რევოლიუციის წინააღმდეგ.

*) ეს სიტყვა ცალკეა მოთავსებული ჩვენს გაზეთში.

ხმები ადგილებიდან: იქნებ მას ხოროება.

ქარცივაძე. შეიძლება ეგრე იყოს, მაგრამ ნამდვილი დემაგოგია იმაშია, რასაც თქვენ ამბობთ.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ინგლისში არ ეცხოვრობთ და ვინც აქ „habeas corpus“ ითხოვს, ის თვით წინააღმდეგია მისი. თქვენთვის რევოლიუცია ადარ არის, მაგრამ ჩვენთვის ის არის და ჩვენ მას ვემსახურებით.

ფარჯიაშვილი (ს.-რ.). გასაკვირი ხალხია ეს ნაციონალ-დემოკრატები. სულ მუდამ მხოლოდ ერთს გაიძახიან: თქვენ არ შეგიძლიათ სახელმწიფოს შენება, თქვენ არ შეგწევთ სახელმწიფოებრივი უნარი და ამიტომ გადადექით ძალა-უფლებაო. მაგრამ როდესაც ჩვენ მათ ვეუბნებით, რომ თუ თქვენ შეგწევთ ძალა, აიღეთ ეს უფლება, ისინი განზედ იწევენ და უარს აცხადებენ. მაშ ვის უნდა გადავცეთ? ოსმალეთს?

გ. ხახანტარიშვილი (სოც.-დ.) თუ გსურთ რომ ეს რაზმი განსაკუთრებული ფუნქციებით იყოს აღჭურვილი, მაშინ ეს ფუნქციები სათაურში უნდა იყოს აღნიშნული. ის ინსტრუქცია, რომელიც აქ წაიკითხა საბჭოს წევრმა გაბაშვილმა, კომისიას არც კი განუხილავს, რადგან იგი მინდობილი ქონდა შესადგენად შინაგან საქმეთა მინისტრს. შესაძლებელია, რომ ისიც მოხდეს, რაც გაბაშვილს აშინებს, რომ მინისტრი ბოროტად მოიხმარს თავის უფლებას, მაგრამ ამისთვის თქვენ ხომ გაქვთ საშუალება, რითაც ასე ხშირად სარგებლობს ნაციონალ-დემოკრატიული ფრაქცია-შეკითხვის უფლება.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი კანონ-პროექტის. კანონ-პროექტი მიღებულია. ვინ არის მომხრე გაბაშვილის წინადადების, რომ სათაური შეცვლილ იქმნეს. წინადადება უარყოფილია.

სხდომა გადადებულ იქმნა საღამოს 9 საათისთვის.

—

საღამოს სხდომაზედ მცირე შესწორებებით მიღებულ იქმნენ კანონ-პროექტი სადუქნოთა და სასოფლო ადმინისტრაციის შესახებ. ეს კანონ პროექტები ჩვენი გაზეთის დღევანდელ №-ში იბეჭდებიან. კამათი გამოიწვია ერთმა მუხლმა სასოფლო-ადმინისტრაციის კანონ-პროექტში, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ სოფლის კომისრის თანამდებობაზედ სოფელი ირჩევს სამს კანდიდატს, რომელთა შორის ამტკიცებს ერთს მაზრის კომისარი.

ნაციონ.-ლ-დემოკრატმა მიხეილ მაჩაბელმა შესწორება შეიტანა ამ მუხლში, საკმაოა ერთი კანდიდატის დასახელება, რადგან სოფელი ყოველთვის ერთს სასურველ კანდიდატს ასახელებს ხოლმე და სხვას ფორმისათვის შეურჩევს, ძველი მთავრობა ამით სარგებლობდა ამ სხვა შეუფერებელ კანდიდატს ამტკიცებდა. ჩვენი მთავრობისათვის კი, ეს სრულებით საჭირო ადარ არის. ეს წინადადება მენშევიკებმაც მოიწონეს, მაგრამ კამათის დასარულს, მაინც შეიტანეს როგორც თავის ფრაქციის წინადადება. თვით კამათი კი განსაკუთრებით აწარმოებდა მენშევიკებსა და ესერებს შორის, რომლებმაც იმ ფაქტში, რომ სოფლის კანდიდატებში მაზრის კომისარმა უნდა ამოარჩიოს სასურველი კანდიდატი, დაინახეს დემოკრატიის უფლებათა შეზღუდვა. მენშევიკები კი ამტკიცებენ, რომ ეს ზომა საჭიროა, რადგან ხშირად სოფელი ბნელ ძალების გავლენის ქვეშ ვარდება და ამასთან ეს არ არის ანტიდემოკრატიული ზომა, რადგან ამ კომისრებს კონტროლს უწევს ისეთი მთავრობა, რომელიც უაღრესად დემოკრატიულია.

## ვრიცოლ ვეშაპელის სიტყვა

(„კონტრ-რევოლიუციისა“ და „სპეკულიაციის“ შესახებ, თქმული ეროვნულ საბჭოში).

მოქალაქენო! ჩვენ ვართ მოწმენი საინტერესო ისტორიულ მოვლენისა: სოციალისტები, რომელნიც პარტიულის, ეროვნულის თუ ინტერნაციონალურის მოსაზრებით, ეს სულ ერთია, —ჩაეჭიდებიან მთავრობის უფლებას, იძულებულნი არიან საკუთარის სოციალისტური ხელებით აღადგინონ ის სახელმწიფო შენობა, რომლის კედლების დანგრევაში რევოლიუციის გადრმავების დროს ასეთი დაუღალი მოთავე მიუძღვით...

თავის თავად, რასაკვირველია, ნაციონალ-დემოკრატები მხარს უჭერენ სახელმწიფოსათვის სასარგებლო შრომას, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბატონი სოციალისტები უკულმართათ, დიდის შეცდომებით და ცუდათ ახდენენ იმას, რასაც აქამდის ასე კარგად ანგრევდნენ.

ერთი ის, რომ დანგრეულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის აღდგენა, რესტავრაცია ადმინისტრაციისა, სამართლისა, ჯარისა, ხაზინისა და სხვა დაწესებულებათა ხდება რევოლიუციურ ფრაზეოლოგიით; სოციალისტი მინისტრები ვერ ინდომებენ სხვა სახელებს გარდა საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიიდან ამოკითხულისა: პოლიციას უსათუოდ „მილიცია“ უნდა ერქვას, გუბერნატორს, მაზრის უფროსს, მამასახლისს კი „კომისარი“ დაარქვეს; ან ეხლაც ისეთს ორგანიზაციას აწყობენ, როგორიც არის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში მყოფი ჟანდარმერია, მაგრამ სახელად კი „კონტრ-რევოლიუციასთან და სპეკულიაციასთან საბრძოლველი რაზმი“ დაურქმევიათ, თითქოს ხმის მიცემი დემოკრატია უფრო იოლად მოინელებს „ძველი რეჟიმის“ ატრიბუტს, თუ იგი რევოლიუციური ავების კანში იქნება გახვეული—არ უნდათ გაიგონ, რომ—ის დრო წავიდა, როცა მთელი ხალხი გადებოდა სიხარულით რევოლიუციური სიტყვების გაგონებაზე. ეხლა ეს სიტყვები ყველას საშინლად მოსწყინდა და უკვე აბეზარს მოსდით.—ტყუილად კი არ ურჩევდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ ბ-ნი აკაკი ჩხენკელი თავის ამხანაგებს—„რევოლიუციურ ფრაზეოლოგიას საბოლოოდ უნდა დაანებოთ თავი, თუ გინდათ სახელმწიფო საქმე გაქვთ დესო“...

უბედურებაც ის არის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც ვერ დაანებეს თავი ამ ფრაზეოლოგიას და დემაგოგიას —„რევოლიუცია“, — „კონტრ-რევოლიუცია“, „სპეკულიაცია“, „რევოლიუციური წესრიგი“—ეს არის ჩვენი ბისმარკების ენა; არ უნდათ შეისმინონ, რომ დამოუკიდებელ საქართველოში რევოლიუცია უკვე დასრულდა, და ქართულ სახელმწიფოში მხოლოდ პარლამენტარულ ბრძოლას უნდა ჰქონდეს ადგილი—აი აქ, ამ საბჭოში.

ფრაზეოლოგიამ თქვენი პირი წაიღოს, რომ კანონის შინაარსით მაინც აკეთებდეს საქმეს: მაგრამ სოციალისტების მრავალ-სიტყვიანი დეკრეტები მოკლებულნი არიან სახელმწიფოებრივ, იურიდიულ აზრებს; როცა სხვაგან კანონმდებელი სახელმწიფოს დამანგრეველ ხალხის დასასჯელად კანონს სწერს, იგი გარკვევით აღნიშნავს და ჩამოთვლის კიდეც თუ რა და როგორი დანაშაულობისათვის სჯის, და ამგვარად მოსამართლე, ისე როგორც მთავრობა, იძულებულია იმოქმედოს კანონიერ ფარგლებში; ჩვენში კი სოციალისტური მთავრობა მხოლოდ აცხადებს—„კონტრ-რევოლიუცია“ და „სპეკულიაცია“ საქტიკად ისჯებაო და თან არავითარ გარკვეულ შინაარს არ იძლევა ადმინისტრაციის მოქმედებისათვის და იუსტიციის კონტროლისათვის; რა არის მერე „კონტრ-რევოლიუცია“, ერთი მიბრძანეთ? განა სოციალ-დემოკრატია რასაც დღეს აწესებს, იმათ ამ ერთი ან ორი თვის წინად „კონტრ-რევოლიუციას“ არ ეძახდ; რომელი პარტიის, რომელი ფრაქციის, ან რომელი მინისტრის ცვალებადი განწყობილებით უნდა ვიხელმძღვანელოთ „კონტრ-რევოლიუციის“ დასჯის დროს: ვინ არის ის ავტორიტეტი რევოლიუციონურ საქმეებისა, რომელსაც ყველაზედ უფრო უნდა დაეჯეროს ამ „კონტრ-რევოლიუციონურ „ნადირობაში“.

ან და რას ნიშნავს ეს ოხერი „სპეკულიაცია“, რომლის წინააღმდეგ უნდა იბრძოლოს სოციალისტურმა ჟანდარმერიამ? როგორ უნდა ებრძოლოთ ამ სპეკულიაციას, როდესაც თქვენ თვითონ არ იცით რა დანაშაულს ჰქვია სპეკულიაცია?

მე თუ მკითხავთ, სპეკულიაციას იმით კი არ უნდა ებრძოლოთ, რომ ჟანდარმებმა რკინის ... ... იპირონ, რომელთაც ... ... ... ფეხის გაყრდნა მოუნდომიათ ძვირად, არამედ თქვენს საკუთარ მართვა-გამგეობაში უნდა მოსპოთ ის უკანონო ჩვეულებანი სახელმწიფო ქონების ექსპლოატაციისა და წარმოებისა, რომელთაც გარყვნეს ჩვენი ეკონომიური ცხოვრება და რომელთაც შექმნეს დიდი მასშტაბის სპეკულიანტები.

და თუ ყველაფერი ეს ასეა, განა არ შეიძლება ითქვას, რომ თვითონ სოციალისტური მართვა-გამგეობა და კანონმდებლობა არის მიზეზი როგორც კონტრ-რევოლიუციისა, ისე სპეკულიაციისა და იმ დიდი ანარქიისა და საყოველთაო არევ-დარევის, რომელიც ღუპავს ჩვენს ჯერ კიდევ არ აშენებულ სახელმწიფოს.

სოციალისტების ასეთი კანონმდებლობის შედეგი კიდევ ისიც არის, რომ ჩვენი სახელმწიფოს ავტორიტეტი ეცემა და საქართველოს შინაური და გარეული მტრები სარგებლობენ სოციალისტების დეკრეტების იურიდიული და სახელმწიფოებრივი უსუსურობით, რომ მთელს საქართველოს სახელმწიფოებრივ ნიჭს სახელი გაუტეხონ.

და განა არ უნდა გვიმადლოდნენ ჩვენ, ნაციონალ-დემოკრატებს, რომ ისეთ უსუსურ კანონების დაწერის დროს, როგორიც არის „კონტრრევოლიუციის“ და „სპეკულიაციის“ დევნასთან დასჯა ანდა ამას წინად მიღებულ სიკვდილით დასჯის კანონის ერთი თვით უკან მოქმედება,—ჩვენი პროტესტით ვიქვეთ, რომ საქართველო მთლად არ გადარეულა?

## მეორე სიტყვა

შინაგან საქმეთა მინისტრი გვთხოვს განმარტებას, თუ რას ნიშნავს სპეკულიაციის ხელის შემწყობი უკანონო ჩვეულებანი მართვა-გამგეობისა... მოგახსენებთ... რევოლიუციას რომ ალარ მაგვებდით. მაშინ კანონთა კრებულის თაქსიმები ტომი გაუქმებულ იქნა, სოციალისტები ხელმძღვანელობდნენ არ დაწერილ მეჩვიდმეტე ტომით, რომელიც საბედნიეროდ უარყოფს ყველა სახელმწიფოებში არსებულ წესს სახელმწიფოს ხელში მყოფ ქონების როგორც ექსპლოატაციისა და წარმოებისა, ისე იჯარით, თუ კონცესიით გაცემისას. თქვენ იცით, რომ სახელმწიფო წესით, კონცესია ან იჯარა მხოლოდ შეჯიბრებით შეიძლება, საჯარო ვაჭრობით, უნდა ეძლეოდეს იმას, ვინც უფრო ხელსაყრელ პირობებს უდგენს სახელმწიფოს... რევოლიუციონურმა მე-17 ტომმა გააუქმა ეს ძველი, მაგრამ კარგი წესი... ამის მაგიერ ჩვენი ქვეყნის რევოლიუციური მთავრობები, „ოზაკომი“ ვარო, თუ „კომისარიატი“ მისი სეიმით, საქართველოს დღევანდელი მთავრობით გათავებული, ერთგვარ პროტექციონიზმს ეწეოდნენ პარტიულ, სოციალისტური და რევოლიუციურ წრეებთან ახლო მდგომ ანტრეპრენიორებისათვის... მე ჯერ არ მისარგებლია საბჭოს წევრის უფლებით, რომ საიანადო სამინისტროებში გადამეთვალიერებინა სახელმწიფო ქონებაზე გაცემული სხვა და სხვა იჯარები თუ კონცესიები, რომელთა გაცემა საჯარო ვაჭრობის მაგიერ სოციალისტური პარტიული საიდუმლოებით არის მოცული,—რომ დაწვრილებით ცნობები წარმომედგინოთ,—მაგრამ უმრავლესობამ კარგად იცის, რომ სწორედ ამ სახელმწიფოებრივი წესის უარყოფის გამო ჩვენი სახელმწიფო არა ერთხელ უნდა „გაეტყავებინათ“ სხვა და სხვა ჯურის გეშეფტმახერებს...

თავის დროზედ კარლო მარქსი სწერდა, რევოლიუციის შემდეგ მდიდრების ანთემა ეკიდება ყველას— Enrichissez vous!

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა როგორც მარქსის ერთგულმა მოწაფეებმა ეს ლოზუნგი მისი ისტორიული შრომისა ისე გამოიყენეს, როგორც მოსალოდნელი იყო...

და თუ ამას წინად სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ლიდერი ბატონი ირაკლი წერეთელი იმაში ხედავდა ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის ტრაგედიას, რომ იგი ისე როგორც ჰეინეს ფილისტერი და უსუსური ძალა, უმუშევარი ბურჟუაზიული პარტია არის —მაშინ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტრაგედია თუ კომედია ის არის,

რომ სწორედ პროლეტარულ იდეოლოგიის პარტიის წევრებს და თანამგრძნობთ ხელთ მედათ სოციალისტ-მინისტრების წყალობით და პროტექციით მცირერიცხოვან ქართულ კაპიტალისტურ ბურჟუაზიის გამრავლებას!..

# ქრონიკა

## თბილისი.

✦ **ტყვეების აღება.** გენ. მაზნიაშვილი დეპეშით იტყობინება, რომ 26 ივლისს 12 საათის განმავლობაში ბრძოლის შემდეგ მისმა ჯარმა ტყვედ აიღო. ხელთ იგდეს 4 ზარბაზანი, 12 ტყვიის-მფრქვეველი, ჯავშნოსანი ყუმბარა, პატრონები, ავტომობილები, 5 ორთქლმავალი, ვაგონები და მრავალი სხვა ქონება. დღევანდელი რაოდენობა ირკვევა, ჩვენი დანაკლისი ცოტაა, დაჭრილია 10 და მოკლულია ერთი კაცი. მოწინააღმდეგე 1,200 კაცით ჯავშნიანი ვაგონებით და ავტომობილებით არმავირისაკენ გაიქცა.

✦ **ეროვნული საბჭოს სხდომის წესრიგი:** 1. საბოლოო რედაქცია წარსულ სხდომაზე მიღებულ კანონ-პროექტებისა.

2. განხილვა კანონ-პროექტისა არსებულ მფრინავ რაზმების შტატების გადიდების შესახებ.

3. განხილვა კანონ-პროექტისა საქართველო ინსპექციის გაუქმების შესახებ.

4. მთავრობის წინადადება დეკრეტის გამოცემის შესახებ, რომლითაც მთავრობას ზოგიერთი ხასიათის დაწესებულებათა ლიკვიდაციის უფლება მიეცემა.

5. მსჯელობის გაგრძელება გრ. ვეშაპელის შეკითხვის შესახებ საჩხერის ოსების აჯანყებაზე.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფი ქართულ ენაზე.** გაიცა განკარგულება, რომ საქართველოს რესპუბლიკის ყველა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში 1 აგვისტოდან ტელეგრამები და ყოველნაირი კორესპონდენციები ქართულ ენაზე მიიღონ—რუსულ ენაზე მხოლოდ დროებით, ახლა განკარგულებამდის მიიღება დეპეშები და კორესპონდენციები ქ. თბილისის მისამართით და იმ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში, რომელნიც არიან ბორჩალოს მაზრაში და სოხუმისა და ზაქათალის ოლქებში. რესპუბლიკის დანარჩენ ადგილებში კი დეპეშები მიიღება მხოლოდ ქართულ ენაზე და კორესპონდენციები მხოლოდ ქართული მისამართის წარწერით.

✦ **საქართველოს სამხედრო გზაზე.** რადგან ბოლშევიკებმა ჩვენი ულტიმატუმი მიიღეს, რაზმის ნაწილი უკვე დაბრუნდა თბილისში. მიღებულია ზომები მაზრის საზღვრით დასამშვიდებლად.

✦ **სომხეთის მთავრობა.** ერევანში საბოლოოდ შესდგა: კაჩაზნუნი რ. თავმჯდომარე, ხატისოვი ა. საგარეო საქმეთა მინისტრი, არამი შინაგან საქმეთა მინისტრი, კარჩიკიანი ხ. ფინანსების მინისტრი.

✦ **სომხ. რესპ. დიპლომატიური წარ.** ა. ჯამალიანმა ინახულა რამიშვილი. ჯამალიანმა განაცხადა რომ სომხის რესპუბლიკამ დაავალა ყურადღება მიაქციონ სომხის ლტოლვილთა ქონებას.

✦ **კავკაზში შესვლის აკრძალვა.** თერგის მთავრობამ კატეგორიული უარი უთხრა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ლტოლვილების სამხედრო გზით კავკაზზე გაშვების შესახებ. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ სწრაფი განკარგულება მოახდინა, რომ სიონდსა, მცხეთასა და ხაშურიდან ლტოლვილები არ გაუშვან.

✦ **საჩხერიდან იტყობინებიან,** რომ იქ მოუკლავთ ოსების აჯანყების ხელმძღვანელი ყაჩაღი მორჩაძე.

✦ **სომხის დელეგაციის** თავმჯდომარე აგარონიანცი სტამბოლიდან იტყობინება, რომ კონფერენცია გადადებულ იქმნა ორი კვირით.

## პარტიული ცხოვრება

✦ **მთავარი კომიტეტის კრება.** დღეს საღამოს სწორედ 7 ნახ. საათ. შესდგება მთავ. კომიტ. კრება. განსახილველია: საორგანიზაციო, ფრაქციებისა და სხვა საჭირო საკითხები. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

## მთავრობის წრეებში

მთავრობამ დაადგინა: 1) გამოაცხადოს საქართველოს ტერიტორიაზე პურისა და სიმინდის თავისუფალი ვაჭრობის უფლება ბორჩალოს მაზრის გამოკლებით. 2) საზღვარ-გარეთიდან პურის მარცვლის უფასოთ შემოტანა-გადატანა აკრძალულია. 3) ყველა სასურსათო კომიტეტები: გუბერნიის, საოლქო, სამაზრო, საქალაქო, დღიდან ამ დადგენილების გამოცხადებისა გაუქმებული უნდა იქმნენ და უფლება არ ექნებათ რაიმე დადგენილების გამოცემისა. 4) სასურსათო სამინისტროს მიენდო ერთი თვის განმავლობაში გუბერნიის სასურსათო კომიტეტისა და სხვა კომიტეტების ქონების განმავლობაში ლიკვიდაცია. 5) შინაგან საქმეთა და სასურსათო მინისტრებს მიენდო ენერგიული ზომები მიიღონ სპეკულიაციისა და გადამალულ საქონელთან საბრძოლველად. გადამალული საქონელი საქონელი ჩამოართვან და დამნაშავენი პასუხისგებაში მისცენ. 6) შინაგან საქმეთა, გზათა მიმოსვლის და სასურსათო მინისტრებს დაევალათ მიიღონ ზომები ამ დადგენილების დაჩქარებით ცხოვრებაში გასატარებლად. 7) სასურსათო სამინისტროს დაევალა ყოველგვარი საქონლის გაყიდვის შესახებ შეიმუშაოს პროექტი და მომავალ სხდომაზე წარმოადგინოს.

## საქართველოს რესპუბლიკის საზავო დელეგაცია

საქართველოს რესპუბლიკის საზავო დელეგაციიდან, რომელიც კონსტანტინეპოლს იყო წასული, გუშინ წინ თბილისში ერთი წევრთაგანი დაბრუნდა. როგორც მისი სიტყვებიდან სჩანს, ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ ყოფილა, სად გაიმართება კონფერენცია, ბერლინში თუ კონსტანტინეპოლში. ყოველს შემთხვევაში უცნობელია, რომ არსებითად ყველაფერი გერმანიის სატახტო ქალაქში გადაწყდება. ჩვენკენი კონსტანტინეპოლში არ ჩასულა, მხოლოდ დელეგაციისათვის შეუტყობინებიათ, რომ მოლაპარაკება გერმანიის მთავრობასთან ნორმალურად მიდის; ამასთან ვე მის ბერლინში გამოწვევაც მოხდა.

## აზერბეიჯანის რესპუბლ. ცხოვრებიდან

აზერბეიჯანის მოქალაქენი გამუდმებით არიან ახალი რეფორმებით.

მთავარი ფოსტის შენობასთან გაკრულია განცხადება რომლის ძალითაც წერილები ფოსტაში დაუბეჭდავი უნდა მოიტანონ, რადგან ყოველმა წერილმა კონტროლ ქვეშ უნდა გაიაროს. წერილები რაც შეიძლება მოკლე შინაარსისა უნდა იყოს და უნდა იწერებოდეს მხოლოდ საქმეზე. აკრძალულია რისამე დაწერა აზერბეიჯანის მთავრობის მოქმედებაზე ან განკარგულებებზე. მეორე მხრით აკრძალულია ტელეფონით კერძო პირების ლაპარაკი, სჩანს აზერბეიჯანი რადიკალს აპირებს.

საზოგადო ცხოვრება მთლად მიმკვდარია. სოციალისტები მიიმალნენ და საზოგადოდ პოლიტიკური პარტიები აღარ არსებობენ. განზრახულია ყველა ეროვნული საბჭოების დახურვა. ადგილობრივი გაზეთები არ არის.

ასკერებმა ისევ თავხედობა დაიწყეს. ქურდობა გახშირდა. განჯის მოსახლეობას ამუშავებენ ოსმალეთის ჯარისათვის. ყოველი ოჯახი მოვალეა შეკეროს მიცემული მასალიდან რამდენიმე ხელი ტანისამოსი ჯარისკაცებისათვის, რაც საკვირველია უფასოდ. ოსმალეთის ოფიცრები და ჯარისკაცები ძალიან განწყობილნი არიან საომრად: „ავიღებთ ბაქოს და ტფილისის ასაღებად წავალთო" ამბობენ ისინი. როდის აიღებენ ბაქოს არავინ იცის, ჯერ ჯერობით კი ქალაქი სავსეა დაჭრილი ოსმალებისაგან. რადგან საავადმყოფოებში ადგილი აღარ არის, დაჭრილებს კერძო სახლებში ათავსებენ. განჯაშიც დიდი ცხარელი აქვს ცნობილს მიხეილის „მანიფესტს". მრავალი რუსის ოფიცერი ეთხოვება მუსულმანთა კორპუსს. პურის ფასებმა სპეკულიანტების საშუალებით უკანასკნელ კვირაში ერთი სამად მოიმატა.

(„ბორბ.")

## კანონები

მიღებული ეროვნულ საბჭოს მიერ 26 ივლისის სხდომაზე

### კანონი

საქართველოს საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შტატების დაარსებისა

1. დაწესებულ იქმნას რესპუბლიკის საზღვრებში საგუბერნიო და სამაზრო კომისარების შტატები შემდეგის შემადგენლობით: თბილისის გუბერნიისათვის ერთი გუბერნიის კომისარი, ორი მისი თანაშემწე, შვიდი მაზრის კომისარი, შვიდი უფროსი და სამი უმცროსი მათი თანაშემწენი. ქუთაისის გუბერნიისათვის ერთი გუბერნიის კომისარი, ერთი მისი თანაშემწე, შვიდი მაზრის კომისარი და შვიდი მათი უფროსი და უმცროსი თანაშემწე; სოხუმის ოლქისათვის ერთი ოლქის კომისარი და ერთი მისი უფროსი და უმცროსი თანაშემწე.

2. ხსენებულ კომისარების ჯამაგირების რაოდენობა დაწესდეს შემდეგის სახით: გუბერნიის კომისარებს 16.200 მანეთი მანეთი ჯამაგირათ წელიწადში. მათ თანაშემწეებს 10 800 მანეთი წელიწადში. მაზრის კომისარებს 9.000 მანეთი წელიწადში. მაზრის კომისარების უფროს თანაშემწეებს თითოს 7.200 მან. წელიწადში, ხოლო უმცროს თანაშემწეებს 6.000 მან. წელიწადში. სოხუმის ოლქის კომისარს 13 200 მან. წელიწადში, მის თანაშემწეს კი 9.000.

3. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში გადაიდოს 60.000 მან. საგზაო ხარჯების დასაკმაყოფილებლად საგუბერნიო და სამაზრო ადმინისტრაციისათვის.

4. ზემოაღნიშნულ შტატებში აღნიშნული ჯამაგირები დაწესებულ იქმნას ამ წლის 1 ივლისიდან.

5. ამ შტატებით გამოწვეული ზედმეტი ხარჯები, ჯამაგირების გადიდების გამო გაღებულ იქმნას სახელმწიფო ხაზინიდან.

### კანონი

სასოფლო მილიციის და ადმინისტრაციის დაარსების შესახებ.

1. სოფლად წესიერების დასაცავად რესპუბლიკის ყოველ სოფლის საზოგადოებებში დაარსდეს მუდმივი სასოფლო მილიცია ერთი სასოფლო კომისარის და ხუთი მილიციონერის შემადგენლობით.

2. სოფლის კომისარს ჯამაგირად დაენიშნოს 300 მ. თვეში, წლიურად 3600, ხოლო საკანცელარიო ხარჯებისათვის კი 450 მ. თვეში და დაევალოს მას გაძღოლა ყოველ დღიური ჩვეულებრივი საქმის წარმოებისა აგრეთვე სამობილიზაციო, სამხედრო-სანიტარო შეგროვების სოფლის საზოგადოებებში სახელმწიფო ხარჯების აკრეფის და სხვა სათანადო საქმეთა წარმოებაც.

3. მილიციონერებს ჯამაგირად მიეცეთ 220 მ. თითოს თვეში (წლიურათ 2640 მ.).

4. ხსენებული სასოფლო მილიციის მოქმედება, თანახმად აღნიშნული შტატებისა, განხორციელებულ იქმნას 1 აგვისტოდან 1918 წლისა.

5. ხსენებული მილიციის შესანახი საჭირო თანხა 9,723,600 მ. გაღებულ იქმნას სახელმწიფო ხაზინიდან.

შენიშვნა: სასოფლო მილიციის შესანახი საჭირო თანხა მიმდინარე 1918 წლისა გაღებულ იქნება სახელმწიფო ხაზინიდან, ხოლო ერობის შემოღების შემდეგ, მომავალი 1919 წ. 1 იანვრიდან, ნაწილი ამ ხარჯებისა დაეკისრება ერობას.

6. თვითეული სოფლის კომისარის თანაშემწეობაზე ირჩევს კანდიდატს, რომელსაც ამტკიცებს კომისარი. განსაკუთრებულ შემთხვევაში სოფლის კომისარს ნიშნავს გუბერნიის კომისარი.

7. მაზრის კომისარი ანაწილებს მილიციონერებს სოფლის საზოგადოებებში ადგილობრივ საჭიროების მიხედვით.

8. მილიციონერებს ბინა ეძლევათ სოფლის საზოგადოების მმართველობის შენობაში.

9. სასოფლო მილიციაში ყოფნა არავის არ ანთავისუფლებს სამხედრო სამსახურიდან.

## უცხო სახელმწიფოდან შემოსატან ღვინის ბაჟის შესახებ

რადგან ვ კრონა-მრეწველობა ფრიად ნაკლებად განვითარებული საქართველოში და ამავე დროს იგი უმთავრესად უცხო ტომის ხალხთა ხელშია —საქართველოს ეკონომიურად აღორძინება ახლო მომავალში უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო წარმოებას უნდა დაეყრდნოს, რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს მევენახეობა-მეღვინეობას. მევენახეობა-მეღვინეობას უძველეს დროიდან სწარმოებდნენ და თავისებურებაც კი აქვს ჩვენში ამ დარგს. მიუხედავად ამისა იგი ჯერ მხოლოდ პირველ საფეხურზედ სდგას და დასავლეთ ევროპის მევენახეობა-მეღვინეობისაგან ძლიერ ჩამორჩენილია. ჩვენში მეღვინეობა-მევენახეობა შედარებით მეტად განვითარებულია კახეთში, სადაც დაახლოვებით 20,000 დესეტინა ვენახი ითვლება 32 ფუძიანი ხელში და ყოველწლიური მოსავალი არ უდრის 3—4 მილიონ ვედრო ღვინოს განსასყიდათ გამოტანილს. კახური ღვინის ბაზარი არის უმთავრესად თბილისი და შემდეგ პროვინციები ამიერ-კავკასიისა, როგორც: ბაქო, ბათუმი, გუმბრი, განჯა და სხვა. ჩრდილო-კავკასიაში და რუსეთში კახური ღვინო ძლიერ ცოტა მიდიოდა და ისიც უმთავრესად სხვადასხვა ნაირად შეზავებული—გადარეული ერევნის ან განჯის ღვინოებში. თვით თბილისშიაც კახური ღვინოს დიდ მეტოქეობას უწევდა მუდამ უმთავრესად განჯის ღვინო, რომელიც თავისი თვისებებით და ღირსებით შესამჩნევად დაბლა სდგას კახურ ღვინოზედ; მაგრამ ის გარემოებაა, რომ 1) განჯის ვენახების დამუშავება შედარებით კახეთის ვენახებთან ბევრად ნაკლები ჯდება, 2) რომ სეტყვა იშვიათია განჯის გუბერნიაში მაშინ როდესაც კახეთის ყველა სოფლები ცოტად თუ ბევრად უსათუოდ ყოველ წელიწადს ისეტყვება, 3) რომ განჯაში მოსავალი დიდი იცის (დესეტინა 500—1200 ვედრო, საშუალოდ არა ნაკლებ 800 ვედროზე) მაშინ როდესაც კახეთში საშუალო მოსავალი არას დროს არ სჭარბობს 250 ვედროს დესეტინაზე, 4) რომ საქართველოში ერთის მხრით მევენახეობის ტეხნიკა, საბადურები და მათი მოწყობის რიგები სულ უცნობია თითქმის და მეორე მხრივ წვრილი მევენახის ქონებრივი ხელმოკლეობა სრულიად სპობს ღვინის შენახვის და მოვლის შეძლებლობას და მევენახე იძულებულია მოსავლის კრეფის უმალვე, როგორც ბაზარი უკარნახებს იმ ფასად გაყიდოს თავისი ნაწარმოები, მაშინ როდესაც განჯაში უფრო მსხვილი მევენახეობა და სარდაფის ტეხნიკაა განვითარებული, 5) რომ განჯაში, თანახმად ყოველივე აღნიშნულისა, მევენახეს საშუალოდ 3—4 ვედრო ღვინის მოყვანა უჯდება იმდენივე, რამდენიც კახელს 1 ნახევ ერთი ვედროსი განჯის ღვინოს განსაკუთრებით უქეთეს პირობებში აყენებს მეტოქეობის მხრივ და თბილისში მეტი წილი ღვინის განჯა-ერევნისა იყიდება კახური ღვინის სახელით. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საქართველოში მოდის არა უმეტეს 7 მილიონი ვედრო ღვინო და 3-ნახევარ მილიონ მცხოვრებლზედ თანაბრად განაწილებულია 32 ბოთლზე მეტი არ მოდის (საფრანგეთში საშუალოდ თვითეულ მცხოვრებზედ 100 ბოთლზე მეტი იხმება წელიწადში), ადგილობრივი ღვინის ფასი, თუ ნდა გარეშე ბაზარი ჩვენი ღვინისათვის სრულიად დაკეტილი იყოს, კარგ მოსავლიან წელიწადშიაც არ უნდა დაეცეს ხოლმე, ზემო-აღნიშნული გარემოებისა განჯა-ერევნის მეტოქეობა—თავიდან აეცილებით. ამითი აიხსნება, რომ ჩვენი ღვინის ფასი მუდამ განჯა-ერევნის მოსავალზედ არის ხოლმე დამოკიდებული (დაახლოვებით 6—8 მილიონი ვედრო წლიური მოსავალი) და თუ წელს ღვინოს კახეთში შედარებით ძვირიანი ფასი დაუდგა, ეს აიხსნება სწორედ იმ გარემოებით, რომ განჯა-ერევნის გზით გაზაფხულამდე ღვინის ზიდვა აკრძალული იყო. კახეთის 20,000 დესეტინა ვენახის დამუშავება ჯერ ნორმალურ პირობებში ჯდება არა ნაკლებ 6—7 მილიონ. მანეთისა ყოველ-წლიურად (დესეტინა 250—300). ამას კი მუშის, საწამლებელი მასალის და სამეურნეო იარაღის საშინელი სიძვირის გამო დესეტინა ვენახის დამუშავება ჯდება არა ნაკლებ 2000-2500 მანეთისა და ამ სახით 20,000 დესეტინის დამუშავება წელიწადში წელს დაჯდება თითქმის 50 მილიონი მანეთი, ეს იგი 32,000 წვრილი მევენახის ცოტა-ოდენი დაგროვილი სიმდიდრე უნდა დაბანდდეს ღვინოში, ე. ი. ისეთ ნაწარმოებში, რომლის გასაღება (მეტადრე გხლანდელ პირობებში) არაფრით არ არის უზრუნველყოფილი, თუ ამას უეჭველად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა არ მიეკუთვნა და მთავრობის განსაკუთრებული ყურადღების და მფარველობის ქვეშ არ დადგა. იმავე დროს 4—5 მილიონი ვედრო ღვინო გხლანდელ ფასებში რომ კახელმა მწარმოებელმა უმტკივნეულოდ გაასაღოს უნდა 100—120 მილ. მანეთი აიღოს და ეს ფული უმთავრესად წვრილ-მწარმოებელთა შორის განაწილდეს, რადგან იქ ერთი მევენახეთა რიცხვი, რომელიც 5 დესეტინაზე მეტი ვენახი აქვთ არ აღემატება 1,5% პროცენტს და ეს გარემოება კი თითქმის სამუდამოდ გაასწორებს ჩვენს ჩამორჩენილ მეურნეობას.

იმიტომ, ყველა ზემოდ მოხსენებულის თანახმად, აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია საჩქარო ზომები იყოს მიღებული. 1. უცხო სახელმწიფოებიდან შემოსატან ღვინოზე დადებული ბაჟის გადასახადის გადიდების იმ ზომამდე, რომელიც შეუძლებელს გახდის ადგილობრივ ღვინის ფასით (და არა ღირსებით) მეტოქეობას. ბაჟის რაოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს ღვინის ღირებულებასთან, ამ ხანად არა ნაკლებ ხუთმეტი მანეთისა ვედროზე (დაახლოვებით 60 პროცენტი კახეთში არსებული ფასებისა) 2. უცხო სახელმწიფოების ღვინო საქართველოს საზღვარში უეჭველად თავისი საკუთარი სახელწოდებით იყიდებოდეს და არა კახური ან საქართველოს სხვა პროვინციის სახელით (მარკის დაცვა). 3. უცხოეთიდან შემოტანილი ღვინის აუცილებლად ჩამოერთვას სახელმწიფო გადასახადი (აქციზი) საზღვარზედვე იმისდა მიუხედავად, ღვინო ქალაქში შევა, სადაც აქციზი შემოღებულია, თუ სოფლად გაიგზავნება.

გ. წ.

## ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში

(დასასრული)

ყვინი გიორგი მეფის თანახმა იყო და შემოუთვალა, რომ ქართველ ტყვეებსაც დაგიბრუნებთო. ასე და ამ გზით ალექსანდრე ბატონიშვილის ცდით თუმცა ყველაფერი მოხერხებულა. მაგრამ ეს ამბავი ვერ შეიტყვეს რუსთაგან შეშინებულ ქართველებმა, ამათ გული ელდა ეცათ, ამათ ამის ცნობა ბელე რუსეთში მყოფ ეჩის გარსევან ჭავჭავაძეს აცნობეს, ამან კიდევ მეფე იმპერატორს შეატყობინა ეს ცნობა, მის შემდეგ, გარსევან ჭავჭავაძე საქართველოში ჩამოვიდა, ბევრი გიორგი ნახა და ეს დაწყობილი საქმეც მოიშალა თურმე.

ამ გარემოებამ ალექსანდრე ბატონიშვილი დიდათ დაამწუხრა, ამის შემდეგ ალექსანდრემ ისევ სპარსეთს მიმართა. ბაბახანმა ეს დიდის თავაზით მიიღო და კარის კაცთა შორის ალექსანდრე ბატონიშვილს ყოველთვის პირველი ადგილი ეჭირა. ბაბახანმა ეს კაცი იცნა ისეთ ძლიერ, რომელიც საქართველოდამ რუსებს ოდესმე ისევ გარეკავს და საქართველოს თავისუფალს ჰყოფს მათგანო, ასე ეშინოდათ სპარსელებს რუსების და ამ შიშიანობას მათში ცხადათ აქრობდა და ანელებდა ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი.

ბაბახან ფეთ ალი შაჰს, ალექსანდრე ბატონიშვილი ისეთ ძლიერ სამტროდ ძალათ მიაჩნდა, ისეთ საიდუმლო პირად რაზეც მას არასდროს ეჭვი არ ჰქონდა სპარსელის სომხის მოწერილის მეცნიერის სიტყვით:

„ბაბახან ფეთ ალი შაჰს ისეთი პატივისცემა ჰქონდა ალექსანდრე ბატონიშვილისა, რომ ერთხელ, დიდ მეჯლიში დროს ნიგარისტანის ბაღის სასახლეში, დიდის თავაზით მიიწვია უმაღლეს კარის კაცთა კრებაში და შემდეგ მიღების ბრძანება ეხატათ დარბაზის ერთ კედელზედ, ამ მიღების სურათი, რომელზედაც პირველი ადგილი ალექსანდრე ბატონიშვილს უჭირავს.

ეს სურათი ნიგარისტანის ბაღის სასახლის კედელზედ დღემდე ყოფილა დაცული.

ბატონიშვილი ალექსანდრე, როდესაც კი შინადიდან თეირანში მიდიოდა, ეს თურმე მუდამ წელში ლოდინოდა შაჰის სანახავად და მისგან, ანუ შაჰისაგან ბრძანდებოდა დიდის მოწყალებით

